სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #114
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	96-46-73
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	16819612600910

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი 06/09/2022წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და პრივატიზების საგანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს N22.1182.1284 განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N356 განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით **სსიპ - ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ირაკლი თავართქილაძის მიერ - პ/ნ: №01024052796) და მეორეს მხრივ, **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს რაგბის კავშირი** (შემდგომში „ქონების შემძენი“, **ს/ნ: 204874911** წარმოდგენილი თორნიკე გოგებაშვილის მიერ პ/ნ: 12001014781, ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საპრივატიზებო პირობით საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (პრივატიზების საგანი): **ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.11.05.027.008)**
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882022560316 – მომზადების თარიღი 08.08.22წ

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და გადახდის პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773390
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

საქართვ
საჯარო რ
თარიღი
გვ.რაოდე

მუხლი 3. საპრივატიზებო პირობა

3.1. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს: პრივატიზებული უძრავი ქონების განვითარება და ფუნქციონირება მხოლოდ სპორტული დანიშნულებით.

მუხლი 4. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს, პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, საპრივატიზებო პირობით. მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული პრივატიზების საგანი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. პრივატიზების საგანი არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული.

5.2. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ პრივატიზების საგნის ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის და არ არის სადავო.

5.3. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქონების შემძენისათვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე.

5.4. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა საპრივატიზებო პირობების შესრულების ვალდებულებით, შემდეგი ჩანაწერით: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“.

5.5. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

5.6. პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობები ვალდებულებად დარეგისტრირდება და შესაბამის საჯარო რეესტრიდან ამონაწერებში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“.

5.7. ქონების შემძენი ვალდებულია, შეასრულოს საპრივატიზებო პირობა და საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

5.8. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია საპრივატიზებო პირობების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

5.9. პრივატიზების საგნის (ან მისი გამოჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონების) გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია უძრავი ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე საპრივატიზებო პირობებით და ვალდებულებებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით უძრავი ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სააგენტოს.

5.10. ქონების შემძენს უფლება არ აქვს საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, სააგენტოს თანხმობის გარეშე იპოთეკით ან გირავნობით ან/და ნებისმიერი ვალდებულებით დატვირთოს პრივატიზების საგანი.

5.11. საპრივატიზებო საფასურის გადახდამდე და საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე, ქონების შემძენს არ აქვს უფლება, სააგენტოს თანხმობის გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად უფლებრივად (მათ შორის - იპოთეკით) დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია შეძენილი ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

5.12. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების შესახებ ინფორმაციას ქონების შემძენი ადასტურებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პირის/პირების მიერ გაცემული დასკვნით.

5.13. საპრივატიზებო პირობის შესრულება უნდა დადასტურდეს სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5.14. საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.15. საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

5.16. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება (ან მისი გამიჯვნის, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება) ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

ის სამინი
ნული სა
2267
..... 2
ერა.....

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო.

6.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-

ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა.

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრება 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება ამ საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე.

6.4. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 7. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

7.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს. დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

8.4. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს რაგბის კავშირი ს/ნ:204874911

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სჯაარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2267
თარიღი "06" სექტემბერი 2022 წ.
მ.პ. რამოდენობა ხელმოწერა

განკარგულება - N 22.1182.1284
2 / აგვისტო / 2022 წ.

ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118^1 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. შესათანხმებლად წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს რაგბის კავშირისთვის (ს/ნ 20487911) საკუთრებაში გადაცემის საკითხი და მასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მიწის ნაკვეთის საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი და მისი გადახდა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

3. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს შემდეგი: პრივატიზებული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის განვითარება და ფუნქციონირება სპორტული დანიშნულებით.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საკითხის შეთანხმების შემთხვევაში, თანხმობის გაცემიდან სამი თვის ვადაში, საჯარო სამართლის იურიდულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს რაგბის

კავშირთან (ს/ნ 20487911), ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

6. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 356

"9" აგვისტო 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს №22.1182.1284 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ააიპ - საქართველოს რაგბის კავშირისთვის (ს/ნ. 204874911) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი
პროექტი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ---------- 22წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და პრივატიზების საგანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---------- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით **სსიპ - ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------) და მეორეს მხრივ, **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს რაგბის კავშირი (ს/ნ: 20487911)** (შემდგომში „ქონების შემძენი“, ს/ნ: ----------წარმოდგენილი ---------- მიერ), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საპრივატიზებო პირობით საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (პრივატიზების საგანი): **ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.11.05.027.008)**
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №-**882019844976 – მომზადების თარიღი 15.10.22**წ

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და გადახდის პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა **TRESGE22**
სახაზინო კოდი: **300773390**
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

მუხლი 3. საპრივატიზებო პირობა

3.1. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს: **პრივატიზებული უძრავი ქონების განვითარება და ფუნქციონირება მხოლოდ სპორტული დანიშნულებით.**

მუხლი 4. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს, პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, **საპრივატიზებო პირობით.** მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული პრივატიზების საგანი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. პრივატიზების საგანი არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული.

5.2. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ პრივატიზების საგნის ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის და არ არის სადავო.

5.3. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქონების შემძენისათვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე.

5.4. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა საპრივატიზებო პირობების შესრულების ვალდებულებით, შემდეგი ჩანაწერით: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“.

5.5. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

5.6. პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობები ვალდებულებად დარეგისტრირდება და შესაბამის საჯარო რეესტრიდან ამონაწერებში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“.

5.7. ქონების შემძენი ვალდებულია, შეასრულოს საპრივატიზებო პირობა და საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

5.8. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია საპრივატიზებო პირობების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

5.9. პრივატიზების საგნის (ან მისი გამიჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონების) გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია უძრავი ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე საპრივატიზებო

პირობებით და ვალდებულებებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით უძრავი ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სააგენტოს.

5.10. ქონების შემძენს უფლება არ აქვს საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, სააგენტოს თანხმობის გარეშე იპოთეკით ან გირავნობით ან/და ნებისმიერი ვალდებულებით დატვირთოს პრივატიზების საგანი.

5.11. საპრივატიზებო საფასურის გადახდამდე და საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე, ქონების შემძენს არ აქვს უფლება, სააგენტოს თანხმობის გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად უფლებრივად (მათ შორის - იპოთეკით) დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია შეძენილი ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

5.12. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების შესახებ ინფორმაციას ქონების შემძენი ადასტურებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პირის/პირების მიერ გაცემული დასკვნით.

5.13. საპრივატიზებო პირობის შესრულება უნდა დადასტურდეს სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5.14. საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.15. საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

5.16. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება (ან მისი გამიჯვნის, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება) ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო.

6.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა.

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრება 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება ამ საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე.

6.4. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: **TRESGE22**
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 7. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

7.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს. დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

8.4. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს რაგბის კავშირისთვის (ს/ნ: 20487911)

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

თორნიკე

TORNIKE

გვარი / LAST NAME

გოგებაშვილი

GOGEBASHVILI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მმ / M	12001014781

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
16.01.1989	08.02.2032

ბარათის No / CARD No

20IC78551

ხელმოწერა SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
08.02.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2020
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE020IC7855161200101478l<<<<
8901169M3202089GE0<<<<<<<<<<<3
GOGEBASHVILI<<TORNIKE<<<<<<<<<


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ირაკლი
IRAKLI
გვარი / LAST NAME
თავართქილაძე
TAVARTKILADZE
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
ᲛᲐ / M
01024052796
DATE OF BIRTH
21.01.1988
DATE OF EXPIRY
22.12.2024
ბარათის No / CARD No
13II01162
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი/PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
22.12.2014
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013II0116280102405279 6<<<<
8801214M2412229GE0<<<<<<<<<<<4
TAVARTKILADZE<<IRAKLI<<<<<<<<<

ნასყიდობის ხელშეკრულება პირობებით

ქ. თბილისი **5 ოქტომბერი, 2015 წელი.**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (*შემდეგში,* „გამყიდველი"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავის სალომე მესხიას (პ/№01005030011) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 13 იანვარს გაცემული №4/1456 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და **ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი (ს.კ 204874911)** (შემდეგში, „მყიდველი"), წარმოდგენილი წარმოდგენილი ბიძინა ბერიშვილის (პირადი №01010016482) სახით, ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მიერ 2015 წლის 9 სექტემბერს გაცემული №828/02 მინდობილობის საფუძველზე და ფარგლებში, შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N1-1/1537 ბრძანების, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების **ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირისათვის** პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №1745 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება").

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„გამყიდველი" გადასცემს, ხოლო „მყიდველი" საკუთრებაში იღებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე 2 139 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.11.05.027.010) (შემდეგში, „ქონება"), „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 2. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

2.1. ,,მყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს საპრივატიზებო თანხის 1 000 (ათასი) ლარის გადახდა ,,ხელშეკრულების" გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2. საპრივატიზებო თანხის გადახდა „მყიდველის“ მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო”
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი”; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

2.3. საპრივატიზებო თანხა გადახდილად ჩაითვლება მისი „გამყიდველის“ ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

2.4. „მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდისას უნდა მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული რეკვიზიტები იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.

2.5. ხელშეკრულების 2.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს „მყიდველს“.

მუხლი 3. „მხარეთა” უფლება-მოვალეობები

3.1. „მყიდველი” ვალდებულია:

3.1.1 „ხელშეკრულების“ პირველ მუხლში მითითებულ ,,ქონებაზე“ პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით 2017 წლამდე უზრუნველყოს 1 200 მაყურებელზე გათვლილი დამატებითი ტრიბუნის (სველი წერტილებით) აშენება.

3.1.2. „ხელშეკრულება“ გაფორმებისთანავე დაარეგისტრიროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდეგში, „რეესტრი“) და დაფაროს „ქონებაზე“ საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების „რეესტრში“ რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების” გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი.

3.1.3. „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელიც ასახავს „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

3.1.4. „გამყიდველის” მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს” წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

3.2. „გამყიდველი” ვალდებულია, „მყიდველის” მიერ „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „რეესტრში” შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 4. „ხელშეკრულების” განსაკუთრებული პირობები

4.1. „მყიდველს” „ქონებაზე” საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების“ გაფორმების და საკუთრების უფლების „რეესტრში” რეგისტრაციის მომენტიდან, ამასთან, „ქონებაზე” საკუთრების უფლება „მყიდველს” გადაეცემა „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2. „მყიდველს” „ქონება” მფლობელობაში გადაეცემა საკუთრების უფლების „რეესტრში” რეგისტრაციის მომენტიდან.

4.3. „ქონებაზე“ საკუთრების უფლებასთან ერთად „რეესტრში“ რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.

4.4. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

4.5. „ხელშეკრულების" 3.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის" მიერ განხორციელდება „მყიდველის" მიერ „გამყიდველისათვის" „ხელშეკრულების" 3.1.3. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

4.6. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ „ქონების" გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია, „ქონება" ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით". „ქონების" გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს".

4.7. „მყიდველი" უფლებამოსილია, „სააგენტოს" წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით, იპოთეკით დატვირთოს „ქონება". ამათან, „ქონების" იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მყიდველის" ვალდებულებები.

4.8. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ „ქონების" ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან" ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. „ქონების" ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს".

მუხლი 5. „მხარეთა" პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების" შეწყვეტა

5.1. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის

გამოსწორების ვადა, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

5.2. „ხელშეკრულების" 2.1. მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. „ხელშეკრულების" 3.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 „ხელშეკრულების" 3.1.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთვევაში „მყდველს" ეკისრება პირგასამტეხლო, 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.5. „ხელშეკრულების" 3.1.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთვევაში „მყდველს" ეკისრება პირგასამტეხლო, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5.6 „ხელშეკრულებით" ნაკისრი სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.7. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „გამყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება".

5.8. „ხელშეკრულების" ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „ქონება" უბრუნდება „გამყიდველს". „მყიდველს" არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „ქონებაზე" რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

5.9. „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს" „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

ნასყიდობის ხელშეკრულება პირობებით

6.1 „მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის" ან „მყიდველის" კონტროლის ფარგლებს და შესაბამის,, მხარეს არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. ,,ხელშეკრულების" მიზნებისათვის ფორს - მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით.

6.2. „მხარე", რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს" ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე" კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების" შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 7. შეტყობინებები

7.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს" შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

7.2. „ხელშეკრულების" 6.1. მუხლის მიზნებისათვის, „მხარეთა" რეკვიზიტებია:

7.2.1. **„გამყიდველის" შემთხვევაში:**

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. №12, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

7.2.2. **„მყიდველის" შემთხვევაში:**

ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი

მის: საქართველო, ქ. თბილისის,
ვაკე-საბურთალოს რაიონში,
ჭავჭავაძის გამზ., №49ა

ელ. მისამართი: Rugby_group@mail.ru

ტელ: + (995) 597 70 05 33; + (995) 593 97 00 99; + (995) 595 22 09 90

7.3. „მყიდველი" ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს" მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

7.4. „ხელშეკრულების" 7.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ ზედიზედ ორჯერ ვერ მოხდება „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის" ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის" ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

8.1. „ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. „მხარეთა" შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1. „ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია „მხარეთა" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის".

9.2. „ხელშეკრულების" ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

9.3. „ხელშეკრულების" ცალკეული პუნქტების გაუქმება და/ან ბათილობა არ იწვევს „ხელშეკრულების" სხვა პუნქტების გაუქმებას და/ან ბათილობას.

9.4. სათაურები „ხელშეკრულებაში" მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

9.5. „ხელშეკრულება" გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს" და „რეესტრს".

9.6. „ხელშეკრულება" ძალაში შედის „მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„გამყიდველი"
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
სალომე მესხია

„მყიდველი"
ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი
წარმომადგენელი:
ბიძინა ბერიშვილი

დანართი:_____

„მყიდველის“ მიერ ანგარიშსწორებისას მისათითებელი რეკვიზიტები:

1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი;


2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი;

3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.11.05.027.009*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010753304
მიწის ნაკვეთის ფართობი: *53* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 23.08.10




01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.11.05.027.011*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010753323
მიწის ნაკვეთის ფართობი: *226* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 23.08.10



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

განმარტება ხარვეზის პასუხად

1. მიწის ნაკვეთზე არსებული ვალდებულებების შესახებ.

მიწის ნაკვეთი (ს/კ **01.11.05.027.019**) წარმოადგენს ექვსი წინარე საკადასტრო ერთეულის (ს/კ 01.11.05.027.003; .01.11.05.027.006; .01.11.05.027.008; .01.11.05.027.009; .01.11.05.027.010; .01.11.05.027.011) გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ გეომეტრიულ მთლიანობას, რომელთა ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, რაც დასტურდება შესაბამისი სარეგისტრაციო წარმოებით (განცხადება №892024380384).

მიწის ნაკვეთებზე (ს/კ .01.11.05.027.003; 01.11.05.027..006; .01.11.05.027.008; 01.11.05.027..010) რეგისტრირებული ვალდებულებების შესახებ მოგახსნებეთ რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე რეგისტრირებულია შემდეგი სახის ვალდებულებები — **სპორტული ბაზის მშენებლობა** (სტადიონი, ტრიბუნა, გასახდელი და სხვ.) და **სპორტული პროფილის მუდმივი შენარჩუნება**.

აღნიშნული ჩანაწერი თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემზღუდველ ფაქტორს. პირიქით, წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა სრულად შეესაბამება რეგისტრირებულ ვალდებულებას, რის დასტურადაც წარმოგიდგენთ ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს — შესაბამის ხელშეკრულებებს.

იხილეთ დანართი: უძრავის ქონების (01.11.05.027.003; 01.11.05.027..006; .01.11.05.027.008; 01.11.05.027.010) ხელშეკრულებები.

2. შეზღუდვა: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე

ამონაწერის „ვალდებულების“ გრაფაში მითითებული შეზღუდვა ვრცელდებოდა მხოლოდ ორ კონკრეტულ მცირე ფართობზე, (რომლებიც გაერთიანებამდე რეგისტრირებული იყო შემდეგ საკადასტრო კოდებზე **ს/კ 01.11.05.027.009** (ფართობი: 53 კვ.მ.) **ს/კ 01.11.05.027.011** (ფართობი: 226 კვ.მ.)) და არა ნაკვეთის სრულ 27073 კვ.მ. ფართობზე (ს/კ **01.11.05.027.019**).

აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ პროექტის მიხედვით წინარე მიწის ნაკვეთები (**ს/კ 01.11.05.027.009** (ფართობი: 53 კვ.მ.) **ს/კ 01.11.05.027.011** (ფართობი: 226 კვ.მ.) საერთოდ **არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილს,** ვინაიდან მითითებულ ზონებში არ იგეგმება არანაირი სამშენებლო მოცულობის ან კონსტრუქციის მოწყობა, არსებული შეზღუდვა შინაარსობრივად არ მოდის წინააღმდეგობაში საპროექტო დავალებასთან.